



სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 33
27/05/2019

33-0-4-201905271217



ქ. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერისათვის ქ. სიღნაღში ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს.კ 56.14.42.040) 7.5 კვ. მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი წესით სასყიდლით სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემისა და ქონების საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მეოთხე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 24 მაისის № 05/2659 წერილის საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს, მოახდინოს ქ. სიღნაღში ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს.კ 56.14.42.040) 7.5 კვ. მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი წესით სასყიდლით სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემა ანა ჯანიაშვილზე (პ/ნ 40001004870), ყავისა და გამაგრილებელი სასმელების სარეალიზაციო ჯიხურის მოწყობის მიზნით.
2. საიჯარო ვადად განისაზღვროს 5 წელი.
3. იჯარის წლიური ქირა განისაზღვროს 180 (ას ოთხმოცი) ლარით.
4. დაევალოს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გოგილაშვილს მოქმედი კანონმდებლობით უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმება.
5. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების გადაგზავნა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამი.

6. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს მხარეთათვის დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
7. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი ც. დადიანის ქ. №15) განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

ილია ხატიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

